წერილის ნომერი: **38-3824320464**
თარიღი: **15/11/2024**

ადრესატი: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ ალექსანდრე ბერიძეს

ბატონო **ალექსანდრე**,

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების შესაბამისად წარმოგიდგენთ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს თანდართული მასალებით.

ის. დანართი (6 PDF ფაილი)

პატივისცემით,

ნინო ლაცაბიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ
რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

,,ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

- **ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:**

  - ✓ **დადგენილების მიღების მიზეზი:**

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2025 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

- პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

- არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მომზადება ხორციელდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, ხოლო აღნიშნული დადგენილების განხილვა და დამტკიცება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

  - ✓ **დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:**

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

  - ✓ **დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:**

ბიუჯეტის პარამეტრები

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობები განისაზღვრა

133 203,0 ათ. ლარით. მათ შორის:

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 72 800,0 ათ. ლარით:

- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 16 500,0 ათ. ლარს;
- დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 56 300,0 ათ. ლარს;

გრანტების სახით დაგეგმილი საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 29 703,0 ათ. ლარით:

- მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 315,4 ათ. ლარს;
- გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-და/ან ა(ა)იპ-დან - 492,0 ათ.ლარს;
- კაპიტალური ტრანსფერის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 28 895,6 ათ. ლარს;

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 11 100,0 ათ. ლარით:

- შემოსავლები საკუთრებიდან განისაზღვრა - 1 300,0 ათ. ლარით:

- პროცენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 1 000,0 ათ. ლარით;
- რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 300,0 ათ. ლარით;

➢ შემოსავლები საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან განისაზღვრა - 4 200,0 ათ. ლარით:
- სანებართვო მოსაკრებლის მაჩვენებელი განისაზღვრა - 800,0 ათ. ლარით;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის მაჩვენებელი განისაზღვრა - 900,0 ათ. ლარით;
- ადგილობრივი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის მაჩვენებელი განისაზღვრა - 2 500,0 ათ. ლარით;

➢ შემოსავლები ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან განისაზღვრა - 4 700,0 ათ. ლარით;

➢ ტრანსფერი რომელიც სხვაგან არა არის კლასიფიცირებული განისაზღვრა - 900,0 ათ. ლარით;

➢ არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 19 600 ,0 ათ. ლარით;

2025 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული შემოსულობები 133 203,0 ათ. ლარი, გადასახდელების ნაწილში გადანაწილდა პრიორიტეტების შესაბამისად შემდეგ მუხლებში:

➢ შრომის ანაზღაურება - 30 770,4 ათ. ლარი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებში, მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში და რუსთავის საკრებულოში დასაქმებული თანამშრომლების სახელფასო ფონდს;

➢ საქონელი და მომსახურება - 29 591,8 ათ ლარი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების და რუსთავის საკრებულოს სხვადასხვა სახის ხარჯებს: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურებას, ოფისის ხარჯებს, ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებს, სახელშეკრულებო წესით შესასრულებელ სხვადასხვა სახის სამუშაოებისა და მომსახურეობის შესყიდვის ხარჯებს, კვების ხარჯს (სკოლამდელი დაწესებულებების კვების ხარჯი);

➢ პროცენტი - 1 763,0 ათ. ლარი გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან წინა წლებში აღებული სესხის პროცენტის დასაფარად. (მუნიციპალიტეტისთვის სამგზავრო ავტობუსების და მყარი ნარჩენების მართვის პროექტების ფარგლებში);

➢ სუბსიდიები - 10 881,4 ათ. ლარი, თვითმმართველობა სუბსიდირებას უწევს ავტოტრანსპორტის საწარმოს, სასაფლაოს მოვლა-პატრონობასა და სპორტულ კლუბებს;

➢ გრანტები - 6,0 ათ. ლარი გათვალისწინებულია ენერგო ქალაქების საწევროს გადასახადის დასაფინანსებლად;

➢ სოციალური უზრუნველყოფა - 8 674,1 ათ. ლარი განკუთვნილია ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებზე (სოციალურად დაუცველი ოჯახები, შშმ პირები, მრავალშვილიანი ოჯახები და სხვა) გათვლილი პროგრამების განხორციელებისათვის: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, შეღავათები წყლის გადასახადზე, მინიმალური სასურსათო კვების პროგრამა, მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება, მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშთა რეაბილიტაცია, გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე, საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალური დახმარება,

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ცენტრის ხელშეწყობა, შშმ ბავშვთა საკურორტო მომსახურება, ჩვილ ბავშვთა დახმარების პროგრამა და სხვა;

- სხვა ხარჯები - 20 099,7 ათ. ლარი გამიზნულია შენობების ფასადების, საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაციისთვის, მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების რეაბილიტაციისთვის და მოვლა-პატრონობისთვის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამების განსახორციელებლად და სხვა;
- არაფინანსური აქტივები - 28 242,2 ათ. ლარი გათვალისწინებულია ქალაქში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის და მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების და რუსთავის საკრებულოს ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვადასხვა ტექნიკის და ინვეტარის შესყიდვისთვის;
- ვალდებულებები - 3 174,5 ათ. ლარი გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან წინა წლებში აღებული სესხის ძირი თანხის დასაფარად. (მუნიციპალიტეტისთვის სამგზავრო ავტობუსების და მყარი ნარჩენების მართვის პროექტების ფარგლებში);
- მერის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 1 000,0 ათ. ლარით.

ბიუჯეტის პროექტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №385 ბრძანებით „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრულია, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ინდიკატორი შეიძლება იყოს გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მეთოდოლოგიის მიხედვით, გენდერული ინდიკატორები შემუშავებული უნდა იყოს პროგრამისა და ქვეპროგრამის საბოლოო და შუალედური შედეგებისთვის.

ამდენად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, 2025 წელს მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტების შემუშავების დროს, 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის დანართებში გათვალისწინებული იქნა გენდერული ასპექტები.

პროგრამების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარების ასიგნებები შეადგენს 33 150,9 ათას ლარს, პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- **გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების ღონისძიებები** - 800,0 ათასი ლარი:
  - ქალაქ რუსთავის, შოთა რუსთაველის ქუჩაზე ტროტუარების რეაბილიტაცია (მე-3 ეტაპი) - 800,0 ათ.ლარი.
- **გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთების ღონისძიებები** - 15,0 ათასი ლარი:
  - სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებთან დაკავშირებული სამუშაოები - 15,0 ათასი ლარი.
- **საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება** - 513,0 ათასი ლარი:
  - ქალაქში განსათავსებელი სიჩქარის მაკონტროლებელი კამერების შეძენა - მონტაჟი 513,0 ათასი ლარი.
- **შენობების ფასადების რეაბილიტაცია** - 5 200,0 ათასი ლარი:

- ქალაქ რუსთავის, შოთა რუსთაველის ქუჩაზე არსებული შენობების რეაბილიტაცია (მე-3 ეტაპი) - 5 200,0 ათასი ლარი.

- **მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება** - გათვალისწინებულია 15 956,6 ათასი ლარი.
- **საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა -** გათვალისწინებულია 380,3 ათასი ლარი.
- **საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზის მომსახურეობა -** გათვალისწინებულია 594,0 ათასი ლარი.
- **საშუალო სკოლებში ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია** - 492,0 ათასი ლარი:
  - სკოლის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურეობისთვის გათვალისწინებულია - 492,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა -** 9 200,0 ათასი ლარი:
  - ქალაქ რუსთავში კულტურის სახლის რეაბილიტაცია - 9 200,0 ათასი ლარი.

განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების ასიგნებები შეადგენს 12 379,8 ათას ლარს:

- **სტუდენტთა სწავლის დაფინანსება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 650,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალზე კურსდამთავრებულთა წახალისება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 87,5 ათასი ლარის ოდენობით.

- **პროფესიული სწავლება დასაქმების ხელშეწყობისათვის -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 100,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება** - პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 070,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 400,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 524,6 ათასი ლარის ოდენობით.

- **გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 600,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 2 660,9 ათასი ლარის ოდენობით.

- **სარიტუალო მომსახურებება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 23,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - ვეტერანების სარიტუალო მომსახურება - 3,0 ათასი ლარი.
  - სოც. დაუცველთა სარიტუალო მომსახურება - 20,0 ათასი ლარი.
- **შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე** - პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 56,4 ათასი ლარის ოდენობით.

- **შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე** - პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 3 220,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
    - სოც. დაუცველ პირთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 260,0 ათასი ლარი.
    - ვეტერანთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 75,0 ათასი ლარი.
    - შშმ პირთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 114,0 ათასი ლარი.
    - სტუდენტთა და სახელმწიფო ზრუნვიდან გასული პირების შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 1 536,0 ათასი ლარი.
    - სკოლების მოსწავლეების შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 800,0 ათასი ლარი.
    - პენსიონრების შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 285,0 ათასი ლარი.
    - სსიპ-ებისა და ააიპ-ების თანამშრომელთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 150,0 ათასი ლარი.
- **ინდივიდუალური დახმარების** პროგრამების ასიგნება განისაზღვრა 65,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
    - ომის ვეტერანთა ოჯახების კომუნალური გადასახადის დაფარვა - 32,5 ათასი ლარი.
    - რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახების კომუნალური გადასახადის დაფარვა - 7,0 ათასი ლარი.
    - დროებითი საცხოვრისით მოსარგებლე ოჯახებისთვის ელექტრო ენერგიის მომსახურების დაფარვა - 26,0 ათასი ლარი.
- **უხუცეს მოქალაქეთა დახმარება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 4,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 780,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 32,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
    - დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება - 4,0 ათასი ლარი.
    - საბრძოლო ოპერაციებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების მატერიალური დახმარება - 28,0 ათასი ლარი.
- **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 86,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
    - შშმ პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამა– 76,8 ათასი ლარი.
    - მკვეთრად შშმ ტოტალურ უსინათლოთა გამცილებელი - 9,6 ათასი ლარი.
- **სტუდენტთა სოციალური დახმარება** - პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 120,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **სოციალური დახმარებების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 150,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 42,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **დიალიზით დაავადებულთა დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 96,5 ათასი ლარის ოდენობით.

- **ბავშვიანი ოჯახების ხელშეწყობის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 150,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 5,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **შინ მოვლის თანადაფიანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 70,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **შშმ ბავშვთა საკურორტო მომსახურების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 286,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **ჩვილ ბავშვთა დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 100,0 ათასი ლარის ოდენობით.

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს ასიგნება განისაზღვრა 15 919,4 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი“-ს ასიგნება განისაზღვრა 16 484,8 ათასი ლარით, პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- **დასუფთავება და ნარჩენების გატანის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 6 766,4 ათასი ლარით.

- **მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 3 982,5 ათასი ლარით.

- **გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 2 022,9 ათასი ლარით.

- **საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 103,6 ათასი ლარით.

- **საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 984,9 ათასი ლარით.

- **სანიაღვრე სისტემების მოვლა-პატრონობის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 463,4 ათასი ლარით.

- **სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 200,0 ათასი ლარით.

- **რუსთავსერვის ცენტრის ადმინისტრირების პროგრამის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 961,1 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსი“-ს ასიგნება განისაზღვრა 11 504,8 ათასი ლარით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- **საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაციის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 390,3 ათასი ლარით.

- **მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების მოვლა-პატრონობა/რეაბილიტაციის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 2 774,4 ათასი ლარით.

- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 5 781,4 ათასი ლარით.

- **რუსთავის კორპუსის ადმინისტრირების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 558,7 ათასი ლარით.

შპს “მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო“ -ს ასიგნება განისაზღვრა 7 850,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ "ქალაქ რუსთავის სპორტის განვითარების ცენტრი"- ს ასიგნება განისაზღვრა 3 340,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ "კულტურული პროექტების მართვის ცენტრი" - ს ასიგნება განისაზღვრა 4 546,1 ათასი ლარით.

ა(ა)იპ"ახალგაზრდობის განათლებისა და განვითარების ცენტრი"-ს ასიგნება განისაზღვრა 418,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო“-ს ასიგნება განისაზღვრა 80,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ “რუსთავის მუნიციპალური არქივი"-ს ასიგნება განისაზღვრა 140,0 ათასი ლარით.

აა(ა)იპ ,,რუსთავის მუნიციპალური რეფორმებისა და სერვისების განვითარების ცენტრი"-ს ასიგნება განისაზღვრა 280,5 ათასი ლარით.

შპს ,,გემა"-ს ასიგნება განისაზღვრა 101,2 ათასი ლარით.

ა(ა)იპ "რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლი"-ს ასიგნება განისაზღვრა 622,9 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“-ს ასიგნება განისაზღვრა 444,8 ათასი ლარით.

ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო განმავითარებელი ცენტრი კესანე“-ს ასიგნება განისაზღვრა 879,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმი"-ს ასიგნება განისაზღვრა 478,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება – ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა“-ს ასიგნება განისაზღვრა 880,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის მუნიციპალური დრამატული თეატრი"-ს ასიგნება განისაზღვრა 1 757,3 ათასი ლარით.

ა(ა)იპ რაგბის კლუბი „რუსთავის ხარები“-ს ასიგნება განისაზღვრა 930,0 ათასი ლარით.

შპს „საკალათბურთო კლუბი - “რუსთავი 1991”-ის ასიგნება განისაზღვრა 1 377,0 ათასი ლარით.

შპს ,,საფეხბურთო კლუბი რუსთავი"-ს ასიგნება განისაზღვრა 334,2 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „ცხოველთა მონიტორინგის ცენტრი“-ს ასიგნება განისაზღვრა 771,8 ათასი ლარით.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

ათას ლარებში

პროგ. კოდი	**დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა**	**2025 წლის პროექტი**
სულ	**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ასიგნებები**	**133 203,0**
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**19 023,0**
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	12 580,1
01 01 01	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2 680,8
01 01 02	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	9 799,3
01 01 04	საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა	100,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	6 442,9
01 02 01	სარეზერვო ფონდი	1 000,0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	5,0
01 02 03	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ვალდებულებებისა და დავალიანებების მომსახურება/დაფარვა	4 937,4
01 02 04	მუნიციპალური არქივის ხელშეწყობა	140,0
01 02 05	ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა	80,0
01 02 06	მუნიციპალური სერვისების განვითარება და განათლების ხელშეწყობა	280,5
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**47 689,7**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2 312,9
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	800,0
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	15,0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	1 497,9
02 02	წყლის სისტემების განვითარება	463,4
02 02 01	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	463,4
02 03	გარე განათება	2 022,9
02 03 01	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	2 022,9
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	9 364,7
02 04 02	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	1 390,3
02 04 03	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	5 200,0
02 04 04	მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების რეაბილიტაცია	2 774,4

02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	5 781,4
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 303,6
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	1 103,6
02 06 02	სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა	200,0
02 07	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	23 806,6
02 08	საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	380,3
02 09	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	594,0
02 10	რუსთავის კორპუსის ადმინისტრირების პროგრამა	1 558,7
02 11	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	101,2
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**12 481,8**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	6 766,4
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	3 982,5
03 03	ცხოველთა მონიტორინგი	771,8
03 04	რუსთავსერვის ცენტრის ადმინისტრირების პროგრამა	961,1
04 00	**განათლება**	**18 127,9**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	15 919,4
04 03	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა	879,0
04 04	საშუალო სკოლებში ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია	492,0
04 05	სტუდენტთა სწავლის დაფინანსება	650,0
04 06	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალზე კურსდამთავრებულთა წახალისების პროგრამა	87,5
04 07	პროფესიული სწავლება დასაქმების ხელშეწყობისათვის	100,0
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**23 270,6**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	5 981,2
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2 641,2
05 01 04	სპორტის განვითარების ცენტრის ხელშეწყობა	3 340,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	16 871,4
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	7 661,4
05 02 01 01	კულტურული პროექტების მართვის ცენტრის ხელშეწყობა	4 546,1
05 02 01 02	თეატრის ხელშეწყობა	1 757,3
05 02 01 03	მუზეუმის ხელშეწყობა	478,0
05 02 01 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	880,0
05 02 03	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	9 200,0

05 02 04	რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა	10,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	418,0
05 03 02	ახალგაზრდობის განათლებისა და განვითარების ცენტრის ხელშეწყობა	418,0
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**12 610,0**
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	4 039,4
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	444,8
06 01 02	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	1 070,0
06 01 03	მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება	400,0
06 01 04	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	1 524,6
06 01 05	გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	600,0
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	8 570,6
06 02 01	მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება	2 660,9
06 02 02	სარიტუალო მომსახურებები	23,0
06 02 03	შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე	56,4
06 02 04	შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე	3 220,0
06 02 05	ინდივიდუალური დახმარებების პროგრამები	65,5
06 02 06	უხუცეს მოქალაქეთა დახმარება	4,0
06 02 07	რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა	622,9
06 02 08	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	780,0
06 02 09	საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება	32,0
06 02 10	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	86,4
06 02 11	სტუდენტთა სოციალური დახმარება	120,0
06 02 12	სოციალური დახმარებების პროგრამა	150,0
06 02 13	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა	42,0
06 02 14	დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა	96,5
06 02 15	ბავშვიანი ოჯახების ხელშეწყობის პროგრამა	150,0
06 02 16	ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა	5,0
06 02 17	შინ მოვლის თანადაფინანსება	70,0
06 02 18	შშმ ბავშვთა საკურორტო მომსახურება	286,0
06 02 19	ჩვილ ბავშვთა დახმარების პროგრამა	100,0

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 15 848,6 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 26 119,5 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 12 945,2 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 20 906,8 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 4 039,4 ათასი ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია - 23 470,6 ათასი ლარი;
- განათლება - 18 127,9 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 8 570,6 ათასი ლარი.

ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2025-2028 წლებისათვის;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამული დანართი;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
- 2025 წლის ბიუჯეტის იურიდიულის პირების დანართი.